



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის  
შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური**

სამაგისტრო პროგრამა: სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური  
ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
29-30 მარტი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი  
08/06/2021

თბილისი,  
2021

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	მეცნიერებათა მაგისტრი მოლეკულურ ბიომეცნიერებებში (MSc in Molecular Biosciences) მეცნიერებათა მაგისტრი ნეირომეცნიერებებში (MSc in Neurosciences)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0511 ბიოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	<b>120 ECTS</b>
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №101, 17 ოქტომბერი 2011

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი,	ელენე ჩერქეზია
-----------------------------	----------------

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა მჭედლოური იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დაჭავა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი საქართველო

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამამ (ეკოლოგია, მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები) აკრედიტაცია მოიპოვა 2011 წელს. პროგრამა შედგებოდა 4 მიმართულებისგან, ხოლო კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ კვალიფიკაცია კონკრეტული მიმართულების შესაბამისად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა პროგრამის მოდიფიცირება და მასში შემავალი ოთხი მიმართულება დაიყო სამ დამოუკიდებელ პროგრამად. მოდიფიცირების შედეგად ჩამოყალიბდა სამაგისტრო პროგრამა „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)“. პროგრამა ითვალისწინებს ერთ დეტალურ სფეროში (0511 ბიოლოგია) შემავალი ორი კვალიფიკაციის (მეცნიერებათა მაგისტრი მოლეკულურ ბიომეცნიერებებში ან მეცნიერებათა მაგისტრი ნეირომეცნიერებებში) მინიჭების შესაძლებლობას. პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

რეაკრედიტაციისთვის წარდგენილ სამაგისტრო პროგრამაში „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)“ განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების, საერთაშორისო სტანდარტებისა და დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა, რომელიც მკაფიოს ხდის პროგრამის საერთო დიზაინს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასთან მიმართებაში. პროგრამის სწავლის შედეგებთან სინქრონიზაციაში გადაიხედა და განახლდა პროგრამაში შემავალი კურსების მიზნები და სწავლის შედეგები, გადაიხედა სასწავლო კურსებში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა. განახლდა სასწავლო რესურსები, დაიხვეწა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, მაგისტრანტებისთვის განკუთვნილი კვლევითი ლაბორატორიების ტექნიკურ აღჭურვილობას დაემატა თანამედროვე აპარატურა (მას-სპექტრომეტრი, პჯრ-აპარატურა და სხვა); გაიზარდა ხელმისაწვდომი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებისა და წიგნად ფონდში შემავალი ლიტერატურის რაოდენობა; დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები Moodle და Turnitin, განახლდა და გაიზარდა კომპიუტერული ლაბორატორიების რიცხვი, გაუმჯობესდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 26 მარტს ცენტრის ორგანიზებით zoom პლატფორმის საშუალებით შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც მოხდა დოკუმენტაციის წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარება და საინსტიტუციო ვიზიტისთვის სავარაუდო კითხვების შემუშავება.

2021 წლის 29-30 მარტს ასევე zoom პლატფორმის საშუალებით განხორციელდა online აკრედიტაციის ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი (მათ შორის სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის მიზნით. ჩატარდა შემდეგი შეხვედრები:

- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- შეხვედრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა კურსდამთავრებულთან;
- შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) ადგილზე დათვალიერება.

მეორე სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია.

#### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამა „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები) შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში არსებულ აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების სტანდარტებს; პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას; არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; პროგრამაში ჩართულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი; სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები, ინტერნეტ-რესურსები) ხელმისაწვდომია; შემუშავებულია მექანიზმები სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა:

1 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ **რეკომენდაციები**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რა სპეციალობებისა და კომპეტენციების მქონე პირებს შეუძლიათ პროგრამაზე ჩაბარება.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

- სასურველია, სასწავლო კურსს „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტატუსი პროგრამის ორივე მიმართულებისთვის.
- სასურველია, პროგრამის მენეჯმენტმა დააყენოს საკითხი ფაკულტეტის ადმინისტრაციის წინაშე ყველა კურსისთვის 6 ECTS მინიჭების უნივერსალური ხასიათის მიზანშეუწონლობის შესახებ.
- სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.
- სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული.

ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად გაითვალისწინა ინსტიტუციის პოზიცია 2.5. პუნქტთან დაკავშირებით და შესაბამისი რეკომენდაცია რჩევაში გადაიტანა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
ილიას უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)“ ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები რეალისტური და მიღწევადია. ის ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა,

პროგრამა მიზნად ისახავს: „*მოამზადოს მკვლევარები, რომლებიც მოლეკულური ბიომეცნიერებების ან ნეირომეცნიერებების დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად განახორციელებენ კვლევას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით; შეძლებენ ეფექტურ სამეცნიერო კომუნიკაციას დარგის სპეციალისტებთან, იქნებიან კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე და/ან სწავლის შემდგომ. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორც არის ქართულ და უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილი კომუნიკაცია, კრიტიკული ანალიზი და არგუმენტირებული მსჯელობა*”.

პროგრამის მიზნები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ განვითარების გეგმას. ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე. შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულია კვლევები როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულებთან. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა დარგში არსებული საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინების მიზნით, გამოიყენა დიდი ბრიტანეთის დარგობრივი აღმწერი QAA Subject Benchmarks: Biosciences (2019).

მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზნებში პრიორიტეტულად არის გამოყოფილი ისეთი კომპეტენციების განვითარება, როგორცაა დარგში არსებული უახლესი ტენდენციების და ცოდნის დაუფლება, კვლევითი პროექტის წარმართვისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავება, კრიტიკული ანალიზის და არგუმენტირებული მსჯელობის ტრანსფერული უნარების განვითარება. პროგრამა ორიენტირებულია იმ პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში, შესაბამისი პროფილის ლაბორატორიებსა და კლინიკებში. ასევე, სწავლის გაგრძელებას

შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში.

სამაგისტრო პროგრამა თანხვედრაშია დარგში და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან, რასაც ადასტურებს სამაგისტრო პროგრამის 2015-2020 წლის კურსდასაქმებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, ვინც სწავლა სადოქტორო პროგრამებზე გააგრძელა.

პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე - [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge)

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- დამსაქმებლის კვლევა
- უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
- QAA Subject Benchmarks: Biosciences (2019) - <https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/subject-benchmark-statements/subject-benchmark-statement-biosciences.pdf>
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშები
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები.

#### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

#### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას

„სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)“ ნათლად აქვს ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია. სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია.

ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ სწავლის შედეგების შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული მხარეები - პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები. სწავლის შედეგების განახლება/ჩამოყალიბებაში კი გათვალისწინებულ იქნა მათი რჩევები და რეკომენდაციები. უნივერსიტეტმა ასევე გაითვალისწინა გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსის (UK Quality Code for Higher Education) მიერ ბიომეცნიერებებისთვის შემუშავებული სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი (QAA Subject Benchmarks: Biosciences).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა რობინსონ კოლეჯის (კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო) ემერიტუსის, დოქტორ მაკკაბესა და იზმირის ბორნოვას უნივერსიტეტის პროფესორის, თურქეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, ევროპის ბიოქიმიურ საზოგადოებათა ფედერაციის საგანმანათლებლო კომიტეტის თავჯდომარის, დოქტორი ფერჰან საგინის შეფასება/რეკომენდაციები.

პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს თან ერთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. დოკუმენტში კარგად არის გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა, რომელიც ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. ყოველივე იძლევა სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას. სწავლის შედეგების მიღწევადობა ასახულია პროგრამის რუკაში.

თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტებით და ინტევიუებით დასტურდება, რომ სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების დროს, სწავლის შედეგების შეფასება ხდება გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით და ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას სამიზნე ნიშნულებისა და ინდიკატორების გამოყენებით. არაპირდაპირი შეფასების დროს კი ტარდება გამოკითხვები დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. მნიშვნელოვანია, რომ ხდება პროგრამის პერიოდული თვითშეფასება და ანგარიშში აისახება შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრა-შეფასებას. პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი კონსულტაცია/დახმარებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ყოველივე, ხელს უწყობს პროგრამაში ჩართული მხარეების განვითარებას და მათი მხრიდან პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებას და შეფასებას. აქტუალურად მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამის შეფასების საკითხებზე ტრენინგ-მოდული, (სწავლების პროცესში ჩართული



პერსონალისათვის), რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს შედეგების გასაზომ ყველა საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს. ხდება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის შეფასების შედეგები კი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- დამსაქმებლის კვლევა
- უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
- QAA Subject Benchmarks: Biosciences (2019) - [https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/subject\\_benchmark-statements/subject-benchmark-statement-biosciences.pdf](https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/subject_benchmark-statements/subject-benchmark-statement-biosciences.pdf)
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- სტუდენტების და კურსდამთვრებულების კვლევის ანგარიშები
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებ	X			

ლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
--	--	--	--	--

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, მაგისტრატურაში მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. გამოცდაზე მოწმდება სტუდენტის მოტივაცია, არჩეული კონცენტრაციის (მოლეკულური ბიოლოგია/ნეირომეცნიერება) და ასევე ზოგადი ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საფუძვლების ცოდნა. გარდა ამისა, სტუდენტებს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში აღნიშნულია, რომ <b>სასურველია</b>, სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში, ან ჯანდაცვის სფეროში. ამრიგად, პროგრამა მკაცრად არ ზღუდავს/გამორიცხავს სხვა სპეციალობის ან/და კვალიფიკაციის მქონე პირების პროგრამაზე ჩარიცხვას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ პროგრამაზე მოხვდნენ სხვადასხვა გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტები, რაც მათ არათანაბარ პირობებში აყენებს პროგრამის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. ამის აღმოსაფხვრელად პროგრამა საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს სტუდენტებს საბაკალავრო კურსის/კურსების გავლას კრედიტების გარეშე (ე.წ. remedial course). კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროს, რესპონდენტებმა გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც სამაგისტრო პროგრამაზე ჩააბარა რეჟისურის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულმა, რომელმაც შეძლო სამაგისტრო პროგრამაზე წარმატებით სწავლა და ხარისხის მოპოვება. თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს ერთეული შემთხვევაა და საჭიროა პროგრამაზე ჩაბარების მსურველების კომპეტენციების დაკონკრეტება.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. კერძოდ, დეტალური ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ და თავსდება უნივერსიტეტის</p>
---

ვებგვერდზე რუბრიკაში "მიღება".
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი <a href="http://iliauni.edu.ge">iliauni.edu.ge</a></li> <li>• შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი <a href="http://naec.ge">naec.ge</a></li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეკომენდებულია სასწავლო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რა სპეციალობებისა და კომპეტენციების მქონე პირებს შეუძლია პროგრამაზე ჩაბარება.</li> </ul>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით. მოწოდებული დოკუმენტების და ექსპერტთა ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით გამოიკვეთა, რომ პროგრამის შემუშავების და მოდერნიზაციის სხვადასხვა ეტაპზე ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). პროგრამის სტრუქტურის განახლების პროცესში გათვალისწინებული იყო ყველა დაინტერესებული მხარის რეკომენდაციები.</p> <p>პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის "სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)" შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
---

კურიკულუმი შედგება საერთო ბლოკის სავალდებულო, არჩეული მიმართულების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან და სამაგისტრო ნაშრომისგან. პროგრამას ახლავს კომპეტენციათა რუკა.

*პროგრამის სტრუქტურა (120 კრედიტი):*

*საერთო ბლოკი - 30 კრედიტი*

*მოლეკულური ბიომეცნიერებები - 90 კრედიტი:*

• *სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი*

• *არჩევითი კურსები - 36 კრედიტი\**

• *სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი*

*ნეირომეცნიერებები - 90 კრედიტი:*

• *სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი*

• *არჩევითი კურსები - 18 კრედიტი\**

• *სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი*

\* აქედან 6 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს, როგორც პროგრამის ფარგლებში არსებული არჩევითი კურსები ( 18 კრედიტის ფარგლებში), ასევე კურსები სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან.

პროგრამაში შემავალი სასწავლო, პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია, საჭიროების შემთხვევაში კომპონენტებში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. უნდა ითქვას, რომ მოლეკულური ბიომეცნიერებების მიმართულება უფრო მეტ მოქნილობას და არჩევანს სთავაზობს სტუდენტს (სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი, არჩევითი კურსები - 36 კრედიტი), ვიდრე ნეირომეცნიერებების მიმართულება (სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი, არჩევითი კურსები - 18 კრედიტი). ორივე მიმართულებაზე წარმოდგენილ კურსს „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უნდა ჰქონდეს სავალდებულო კურსის სტატუსი.

პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები და ა.შ.) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge) დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის
- შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების
- შეფასების კრიტერიუმები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [iliauni.edu.ge](http://iliauni.edu.ge)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი

### **რეკომენდაციები:**

<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია, სასწავლო კურსს „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტატუსი პროგრამის ორივე მიმართულებისთვის.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p> <p>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</p> <p>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის დახასიათებიდან, კურსების სილაბუსებისა და შედეგების მიღწევის რუკიდან გამომდინარეობს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამავე დროს სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>თითოეული კურსის სილაბუსში მითითებულია სწავლების მეთოდები და აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტებით და კრიტერიუმებით ხდება კურსის მიზნებით განსაზღვრული სწავლის თითოეული შედეგის შეფასება. კურსების სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევადობას.</p> <p>მეთოდური კურსების შემთხვევაში გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება, რომლის ნაწილს მაგისტრანტი დამოუკიდებლად ატარებს ლაბორატორიაში.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის ყველა კურსი ერთის გარდა („ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგია“ – 12 კრედიტი) 6 კრედიტიანია. კურსების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილება განსხვავებულია, რაც კონკრეტული საგნის სპეციფიკით აიხსნება. თუმცა, რიგ შემთხვევაში საკონტაქტო საათებში სხვაობა იმდენად დიდია (მაგალითად, „უჯრედული რეგულაციის ძირითადი პრინციპები“ (6 ECTS) - 33 საკონტაქტო საათი; „მოლეკულური ბიოლოგიის რჩეული თავები“ (6 ECTS) - 66 საკონტაქტო საათი; „ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგია“ (12 კრედიტი) – 68 საკონტაქტო საათი), რომ ყველა საგნისთვის ერთი და იგივე რაოდენობის კრედიტების მინიჭება ხელოვნურად გვეჩვენება.</p> <p>თითოეული კურსის ფარგლებში მითითებული სასწავლო რესურსები ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და მონაცემებს. კურსების უმრავლესობა ითვალისწინებს სამეცნიერო პერიოდიკასთან მუშაობას და რელევანტური წყაროების დამოუკიდებლად მოძიებას უნივერსიტეტში ხელმისაწვდომ სამეცნიერო ბაზებში.</p> <p>სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, ასევე რიდერების სახით არგუსზე, ან</p>

ელექტრონული სწავლების პორტალზე - [elearning.iliauni.edu.ge](http://elearning.iliauni.edu.ge). უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან, რაც შემოწმდა და დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების დროს.

კურსების ეფექტურობის შეფასების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორცაა კურსის შინაარსის და მოცულობის რელევანტურობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია კურსის ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისთვის და გამოიყენება კურსის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის კურსების სილაბუსები
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი <http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/>
- საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვა - <http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniro-bazebi/>
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი - [elearning.iliauni.edu.ge](http://elearning.iliauni.edu.ge)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი - [iliauni.edu.ge](http://iliauni.edu.ge)
- კურსების შეფასების კითხვარი და მექანიზმი
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის მენეჯმენტმა დააყენოს საკითხი ყველა კურსისთვის 6 ECTS მინიჭების უნივერსალური ხასიათის მიზანშეუწონლობის შესახებ.
- სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის მთავარ ამოცანად დეკლარირებულია იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც აუცილებელია არჩეული მიმართულებით სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად (ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობა, თანამედროვე მეთოდოლოგიის ცოდნა და გამოყენება; მიღებული მონაცემების დამუშავების, კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარის განვითარება და სხვა). ყურადღება ეთმობა სამეცნიერო ეთიკის ნორმების დაცვას და მათი მნიშვნელობის გაცნობიერებას. ასე მაგალითად, ყველა სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე Turnitin სისტემის გამოყენებით.</p> <p>მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია დეტალური ინსტრუქცია ლაბორატორიული უსაფრთხოების წესების შესახებ, რომელსაც სტუდენტი ეცნობა ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომები ძირითადად სრულდება ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის და ძილ-ღვიძილის ციკლის შემსწავლელი თენგიზ ონიანის ლაბორატორიის ბაზაზე სტუდენტების მიმდინარე კვლევებში (მათ შორის მიმდინარე საერთაშორისო საგრანტო პროექტებში) ჩართულობით.</p> <p>სამაგისტრო კვლევით ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე სტუდენტი ირჩევს ხელმძღვანელს, რომელიც ეხმარება სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემატიკის შერჩევაში; სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს ეხმარება სტუდენტს სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობის პროცესში, კვლევის მეთოდოლოგიის არჩევაში, რეგულარულად უწევს მას კონსულტაციებს; აძლევს სტუდენტს უკუკავშირის კვლევის პროგრესთან და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული შეხვედრის დროს სტუდენტების მხრიდან მათი სამეცნიერო ხელმძღვანელების მიმართ რაიმე სახის შენიშვნები არ დაფიქსირდა. აღსანიშნავია სამაგისტრო პროგრამაში შესაბამისი პროფილის სადოქტორო პროგრამის სტუდენტების ჩართულობა (ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება/ასისტირებაში; სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხების ირგვლივ კონსულტაციებში). სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დეტალური აღწერა, პირობები, შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანამანათლებლო პროგრამა</li> <li>• პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები და სამაგისტრო ნაშრომის</li> <li>• სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია</li> <li>• ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია</li> <li>• მიმდინარე პროექტების სია</li> <li>• მემორანდუმები</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p>

<p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
---

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამაში გამოყენებულია სწავლების დონის რელევანტური და სწავლების შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები. პროგრამისა და ცალკეული კურსების აღწერაში ჩამოთვლილია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია;</li> <li>• სემინარი;</li> <li>• პრაქტიკული მეთოდი;</li> <li>• ლაბორატორიული მეთოდი;</li> <li>• დისკუსია/დებატები;</li> <li>• ჯგუფური მუშაობა;</li> <li>• დემონსტრირების მეთოდი;</li> <li>• პროექტზე მუშაობა.</li> </ul> <p>აღსანიშნავია, რომ ამ ჩამონათვალში არ არის მითითებული სამაგისტრო ნაშრომი და კონსულტაცია. ამავ დროს, აღსანიშნავია, რომ დისკუსია/დებატები და ჯგუფური მუშაობა განიხილება არა როგორც სწავლების-სწავლის მეთოდი, არამედ სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები. რეკომენდებულია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული.</p> <p>პანდემიასთან დაკავშირებულ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან ერთად მოხდა ელექტრონული პლატფორმების გაძლიერება, დაინერგა moodle სისტემა, გაძლიერდა „არგუს“ პლატფორმა.</p> <p>სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრის დროს არა ერთხელ აღინიშნა, რომ სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ეფექტურად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. გათვალისწინებულია აგრეთვე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან.</p> <p>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, თუმცა ამის კონკრეტული მაგალითი არ გამოვლინდა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთვება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.</p> <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>• პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები</li> </ul>
---



<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი</li> <li>• არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის</li> <li>• შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p> <p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. მოწოდებულ დოკუმენტებში დეკლარირებულია, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა.</p> <p>შეფასება 100-ქულიანი სტანდარტული სისტემით მიმდინარეობს. ქულების გადანაწილება შემდეგი სახით ხდება:</p> <p>(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სემესტრული შეფასება/დასკვნითი შეფასება თანაფარდობა ინდივიდუალური კურსებისთვის განსხვავებულია (მაგ. 70/30 ან 80/20).</p> <p>სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები,</p>
---

რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას. კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსის“ საშუალებით.

დოკუმენტებით და ინტერვიუებით მტკიცდება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საგანმანათლებლო პროგრამა

- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების განვითარების ცენტრის (TSDC)
- სამოქმედო გეგმა
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტი კურსების შეფასებისთვის
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის	X			

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
--	--	--	--	--

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p><b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</b></p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერება“ ჩარიცხული სტუდენტის მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცენტრი და დეპარტამენტი: აკადემიური წერის ცენტრი, სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, სტუდენტური სერვის ცენტრი, საგარეო ურთიერთობების სამსახური და სხვა, ასევე სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა „არგუსი“.</p> <p>უნივერსიტეტსა და ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა აღწერილი პირობები და ორივე მხარის ვალდებულებები.</p> <p>პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სწავლის პროცესში, შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ პროგრამის ან კურსის ხელმძღვანელს. ასევე, პროგრამასთან და მის ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაცია გაიარონ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, როგორც ყოველი სემესტრის დაწყებამდე, ასევე სემესტრის მიმდინარეობისას.</p> <p>ჩარიცხვისას, ყველა სტუდენტს უაქტიურდება ელექტრონული სისტემა „არგუსი“, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს აქვთ საშუალება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თვალყური ადევნონ საკუთარ აკადემიურ მიღწევებს, შეფასებებსა და კრედიტებს;</li> <li>• დაამყარონ კომუნიკაცია და მიიღონ უკუკავშირი ლექტორისგან შუალედურში მიღებულ ქულასთან დაკავშირებით;</li> <li>• აირჩიონ სასწავლო კურსები;</li> <li>• ჰქონდეთ წვდომა სასწავლო მასალასა და სილაბუსებზე; გაეცნონ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემას, მეთოდებს და კრიტერიუმებს;</li> <li>• მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა თუ სხვა დაგეგმილი ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და ა.შ.) შესახებ;</li> <li>• შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსი.</li> </ul> <p>უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური წერის ცენტრი ეხმარება სტუდენტებს აიმაღლონ აკადემიური უნარები. მაგ: ტუტორისგან მიიღოს კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე, დაესწროს სემინარებს, ისარგებლოს ონლაინ რესურსებით და ა.შ. კონსულტაციებზე და სემინარებზე რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში.</p>
--

უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების სტუდენტებისათვის მიწოდებაზე პასუხისმგებელია სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია რექტორის და ადმინისტრაციის უფროსის წინაშე. დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და ხარისხის მართვის სამსახურთან, ისევე როგორც ფაკულტეტებთან/სკოლებთან, ხოლო მის საქმიანობას უშუალო კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე. სტუდენტური სერვის ცენტრი კოორდინირებს უწევს სტუდენტების ინფორმირების გაზრდას კარიერული განვითარების მიმართულებით:

- მართავს დასაქმების ფორუმებს;
- აორგანიზებს სტუდენტურ პროექტებს, მასტერკლასებს და საჯარო ლექციებს;
- ქმნის და მუდმივად აახლებს დამსაქმებელთა ბაზას;
- სისტემატიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიებთან დაკავშირებით.

ცენტრი ასევე მხარს უჭერს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში, შესაბამისად, ის თანამშრომლობს სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან; აორგანიზებს საჯარო ლექციებს, დისკუსიებს, საზფხულო და ზამთრის სკოლებს; მხარს უჭერს სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს (მაგ: უნივერსიტეტში არსებობს მოლაშქრეთა კლუბი). სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოყოფილია ბიუჯეტი პროექტების განხორციელებისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიზნით. საპროექტო განაცხადი წარედგინება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს წერილობით ან ელექტრონულად კანცელარიის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. განაცხადება იწერება ადმინისტრაციის უფროსის სახელზე, რომელიც განაცხადებას განსახილველად გადაუგზავნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს. განაცხადის განხილვა ხდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი, პროექტების განმხილველი კომისიის მიერ.

სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრს შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა სტუდენტმა, საჭიროების მიხედვით. ცენტრში დასაქმებულები არიან ილიას ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში; ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო კონკურსებისა და სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგარეო ურთიერთობების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების სხვადასხვა გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში ჩართვას, მოხილობის გაზრდას, სისტემატიურად აწოდებს მსგავსი შესაძლებლობების არსებობის შესახებ ინფორმაციას სტუდენტებს არგუსისა, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის საშუალებით, დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაციები, სტუდენტებს ეხმარება საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი
- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები - ინახება საგარეო ურთიერთობების სამსახურში.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [iliauni.edu.ge](http://iliauni.edu.ge)
- არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება

<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი</li> <li>• უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში</li> <li>• უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამშრომლების პირადი საქმეები</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<b>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b>
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუდენტი ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს პარტნიორ ორგანიზაციას (ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, ლუგარის კვლევითი ცენტრი, ბაქტერიოფაგი, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი და ა.შ).</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უნდა იყოს პროგრამაში ჩართული პროფესორი;</li> <li>• უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან დოქტორის (ან მათთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი შესაბამის დარგში და გააჩნდეს შესაბამისი საკითხებზე მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი სტაჟი.</li> <li>• უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი, დაცული ჰქონდეს პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული ჰქონდეს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია;</li> <li>• იყოს შესაბამის დარგში ან დისციპლინაში მომუშავე მკვლევარი და გააჩნდეს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული შესაბამისი პუბლიკაციები უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში.</li> </ul> <p>ხელმძღვანელის მოვალეობებია: რეგულარული კონსულტაციები მაგისტრანტებთან კვლევის დიზაინის, პროექტის მენეჯმენტისა და ნაშრომის წერის პროცესში; რეგულარული უკუკავშირი თემაზე მუშაობის პროცესში; მაგისტრანტების დახმარება სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში; წარმოადგინოს ნაშრომის შესახებ დასკვნა და შეფასება.</p> <p>როგორც ექსპერტთა ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრები ცხადყოფს, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს არ აქვთ ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის რაიმე სახის პრობლემა. ხელმძღვანელის მხრიდან სტუდენტის მოთხოვნაზე რეაგირება დროული და ეფექტურია.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია მაღალია, რაც მტკიცდება პირადი მონაცემებითა და უნივერსიტეტის მიერ სასწავლო/სამეცნიერო აქტიურობის შეფასების მონაცემებით.</p>

ექსპერტთა ვიზიტის დროს დათვალე რეზულტი სამაგისტრო ნაშრომები შეესაბამებოდა სამაგისტრო ნაშრომებისთვის არსებულ მოთხოვნებს (აღმოჩენილი მცირე ხარვეზები ასახული იყო შესაბამისი ნაშრომის შეფასებაში).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგები
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის

რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამას ახორციელებენ ბიოლოგიის დარგის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, მათ გააჩნიათ მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე უცხოეთში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციებით.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ წარმოდგენილი ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის სია, სადაც ჯეროვნადაა წარმოდგენილი ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ბულიკაციების ჩამონათვალი, მათ მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები) პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან: 26 პერსონალი, მათ შორის 20 აკადემიური, ყველა მათგანი არის აფილირებული და 4 მეცნიერი, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 უცხოელი მოწვეული პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მეცნიერთა ჩართულობა, უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (24/2), ლექტორებსა და მაგისტრანტებს შორის თანაფარდობა (26/42) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ბიოლოგიის დარგის წამყვან მეცნიერებს, პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსით, მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად გათვალისწინებულია ევროპის და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება, ხოლო პროგრამის ფარგლებში მოწვეული მაღალი რანგის უცხოელი მეცნიერები, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობის პარალელურად ჩართულნი არიან უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო/კვლევით პროცესებში, უზრუნველყოფენ თანამედროვე სასწავლო გარემოს, კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები;</li> <li>• პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;</li> <li>• სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>• აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა;</li> <li>• გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;</li> <li>• გასაუბრება მაგისტრანტებთან / კურსდამთავრებულებთან;</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p><b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</li> <li>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უსდ-ში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მოთხოვნებს, აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, რეგულარულად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო შედეგების ანალიზი. მეცნიერის ყოველწლიური შეფასების კრიტერიუმები დაწვრილებითაა წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს და ხელს უწყობს, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების დაფინანსების საკითხებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობისთვის.</p> <p>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებისთვის აქტიური საქმიანობის მაჩვენებელია, უნივერსიტეტში არსებული მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით, ცენტრის მრავალფეროვანი საქმიანობა დაწვრილებითაა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში, ცენტრი უდავოდ ემსახურება უნივერსიტეტში დასაქმებული სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებას.</p>



უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო საბჭო, რომლის საქმიანობაც რეგულირდება შესაბამისი დებულებით, საბჭო სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურთან ერთად გეგმავს და მართავს უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის „დღის წესრიგს“, არეგულირებს და აფასებს საქმიანობის ხარისხს, ხელს უწყობს პერსონალის მეცნიერულ განვითარებას, ჩართულია უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საგრანტო პროექტების მიმდინარეობის პროცესებში, რაც გულისხმობს შემდეგ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიოს მრავალ წამყვან ინსტიტუციასთან. აღსანიშნავია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფართო მასშტაბები, რისთვისაც უნივერსიტეტს გააჩნია, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე აკადემიური რესურსი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
 უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ობიექტები საკმარისია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური ობიექტები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, არის სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით და ბიოუსაფრთხოების (BSL 1; BSL 2) შესაბამისი დონეებით. ფუნქციონირებს ვივარიუმი, რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოვე-

ლებისა და ქორდიანების შენახვისა და გამრავლებისთვის. ვივარიუმი აღჭურვილია თანამედროვე, როგორც ღია, ასევე ინდივიდუალური ვენტილაციის ტიპის (IVC) გალიათა სისტემებით. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა ძილ-ღვიძილის და ქიმიური ბიოლოგიის უნიკალურ ლაბორატორიებთან, რომლებშიც მუშაობა იგეგმება 24 საათიანი ციკლით.

გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში სტუდენტებს და ს/კ პერსონალს ეძლევათ საშუალება საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ქვეყნის წამყვანი ს/კ ცენტრების და ლაბორატორიების ინფრასტრუქტურა და შესაძლებლობა, მათ შორის: ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის, გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის.

უნივერსიტეტის კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას (რომელიც წარმოდგენილია ათამდე სამკითხველო სივრცით), სპორტულ დარბაზს, კულტურის ცენტრს, კაფეტერიას, თანამედროვე პარკინგს, საკომფერენციო და კინოთეატრის დარბაზებს და სხვა.

ბიბლიოთეკაში უახლესი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, აღსანიშნავია საერთაშორისო აკადემიური ბაზები როგორებიცაა: Scopus; Cambridge Journals; Britannica Encyclopedia და სხვა. ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის.

ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებული სერვისებიდან ხაზი უნდა გაესვას ტრენინგებს: “სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენება” და “საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენება”, აღნიშნული ტრენინგები უადვილებს მომხმარებელს საბიბლიოთეკო რესურსების სრულფასოვნად გამოყენებას.

უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”, სტუდენტი სასწავლო პროცესს გეგმავს არგუსის საშუალებით, სისტემა ეხმარება მათ უნივერსიტეტის სამსახურებთან კომუნიკაციაში, სასწავლო ცხრილის შედგენასა და სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმირებაში. უნივერსიტეტში, ასევე ფუნქციონირებს სწავლების ელექტრონული პორტალი “e-learning” და პროგრამა „TURNITIN“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით
- ონლაინ ჩართვები ლაბორატორიებიდან და ბიბლიოთეკიდან ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დემონსტრაციის მიზნით
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები
- გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
 პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლების-გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით, ამასთან, უნივერსიტეტის ხარჯვით ნაწილში სიცოცხლის შემსწავლელი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 67.500 ლარი, საიდანაც:

- ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია:**
- ✓ შრომის ანაზღაურების ხარჯი - 22. 500 ლარი;
  - ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასხადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 30.000 ლარი;
  - ✓ პროგრამისთვის საჭირო სპეციალური ლიტერატურის, დამხმარე სასწავლო მასალების, საბიბლიოთეკო რესურსის, ექსპედიციების, სასწავლო პრაქტიკის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯი - 14.330 ლარი;
  - ✓ გაუთვალისწინებელი და განვითარების ხარჯი - 670 ლარი;

აღსანიშნავია, რომ გარდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემატიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებში.

ინსტიტუცია წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი
  - სიცოცხლის შემსწავლელი სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი
  - სიცოცხლის შემსწავლელი სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
  - გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან და რექტორთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

#### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. ამ ორი დოკუმენტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის განხორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, ხოლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შიდა და გარე მექანიზმები.

ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები. კვლევების შედეგები აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებში, რომლებიც მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს კვლევის შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელებთან და პერსონალთან, რომლებიც პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ ხარისხის შეფასების შედეგებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის განვითარების ინსტრუმენტს წარმოადგენს პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიში, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში შეგროვებული მონაცემები, თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და პროგრამის განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა თვითშეფასება არის უწყვეტი პროცესი.

პროგრამის განვითარების დინამიკის და ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ყოველ მომდევნო საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ხდება შედეგების შედარება წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებთან. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პერიოდული თვითშეფასების

<p>ანგარიშები საშუალებას აძლევს სამსახურს შეფასოს, გაითვალისწინა თუ არა პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შიდა ხარისხის კვლევებით მიღებული შედეგები პროგრამის განვითარების პროცესში.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია</li> <li>• სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები</li> <li>• პროგრამის განხორციელების შეფასების წესი</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები და ნეირომეცნიერებები)“ გარე შეფასება - აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №101, 17.10.2011) და უსდ-მ გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.</p> <p>დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებები უცხოელი კოლეგების მიერ, კერძოდ, გარე შეფასება გააკეთა რობინსონ კოლეჯის (კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო) ემერიტუსმა, დოქტორმა მაკკაბემ და იზმირის ბორნოვას უნივერსიტეტის პროფესორმა, თურქეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე პრეზიდენტმა, ევროპის ბიოქიმიურ საზოგადოებათა ფედერაციის საგანმანათლებლო კომიტეტის თავჯდომარემ ფერჰან საგინმა. მათი შეფასებები პოზიტიურია.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უცხოელი კოლეგების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება კარგი პრაქტიკაა. საერთაშორისო პარტნიორები საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას ძირითად აქცენტებს აკეთებენ საერთაშორისო ტენდენციებზე, განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და საკუთარ თავს ხედავენ პროგრამის განვითარების, სწავლების ნაწილშიც. მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამების განვითარების პროცესი კი ხდება სინქრონიზებული საერთაშორისო ტენდენციებთან და მოლოდინებთან.</p> <p>მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რისთვისაც უსდ იყენებს კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების შეფასებებს.</p>

<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები</li> <li>• უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასებები</li> <li>• დამსაქმებლის კვლევის ანგარიში</li> <li>• კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ითვალისწინებს სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების შესრულებას, პროგრამის მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში მოცემულია სისტემური კვლევების რუკა და კვლევების განხორციელების ვადები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სტუდენტების, ლექტორების/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის, კვლევების შეფასება; პროგრამაზე მიღების შეფასება; სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა; მობილობის კვლევა; აკადემიური მოსწრების ანალიზი; კურსების/კომპონენტების შეფასება; დამსაქმებლის/პარტნიორის შეფასება; სტუდენტების დასაქმების კვლევა; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა. აღნიშნული კვლევებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარები და გამოკითხვისთვის იყენებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას „არგუს“ ან ფოკუს ჯგუფებს.</p> <p>კითხვარების ფორმები და ჩამოთვლილი კვლევების/შეფასებების შედეგები უსდ-ს წარმოდგენილი აქვს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის თანმხლებ დანართებში. გამოკითხვებში მონაწილეობა ინტერვიუებზე დაადასტურა აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებელმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების მიზნით შრომის</p>
---

ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დამსაქმებლების გამოკითხვა მოხდა შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: კურსდამთავრებულთა კომპეტენციები, პროგრამის შესაბამისობა შრომით ბაზრის მოთხოვნებთან და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები, კვლევა განხორციელდა 2020 წელს და კვლევის შედეგების ანალიზი წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისი დანართის სახით. კვლევის შედეგები გამოყენებული იყო პროგრამის განვითარებისთვის.

აკადემიური პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით უსდ ასევე ანხორციელებს პროგრამის შემადგენელი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების შეფასებას სტუდენტების გამოკითხვით. შეფასება ხდება კურსის ბოლოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. კვლევა ხორციელდება არგუსის ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმის გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები წარმოადგენენ.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასების და მისი შემდგომი განვითარების და გაუმჯობესების მიზნით უსდ-ში სისტემატიურად ტარდება სტუდენტების დასაქმების კვლევა. კვლევა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. პროგრამის შეფასების ეს მექანიზმი ინტერვიუს დროს აღწერილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ და კვლევის მექანიზმი, გამოკითხვის ფორმა და 2019 წელს განხორციელებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტების სახით.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული მონიტორინგის, კვლევის შედეგები გამოიყენება როგორც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ საკუთარი საქმიანობის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის.

განვითარების და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პერიოდულად ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ასევე უცხოელი კოლეგების შეფასებების გამოყენება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვიზიტისას ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა. გარდა ამისა, უსდ-ს მიერ წარმოდგენილია ანალოგიური პროგრამების ჩამონათვალი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგით და პერიოდული შეფასებებით, წარმოებული კვლევებით მიღებული შედეგებით ხდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში განვითარებაზე ორიენტირებული ცვლილებების განხორციელება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- კვლევის ინსტრუმენტები და კვლევის შედეგების ანგარიშები
- პროგრამით კმაყოფილების კვლევის მექანიზმი და კვლევის შედეგები.
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- ანალოგიური პროგრამების ჩამონათვალი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

<p><b>შეფასება</b></p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
--

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:  
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:  
სამაგისტრო პროგრამა „ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)  
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			



2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ელენე ჩერქეზია



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეა მჭედლოური



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნათია ლაჭავა

ნ. ლაჭავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლევან ციციშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ აბულაძე

